



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49222108

თარიღი:29/07/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 90

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 სამტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 სამტატო ერთეული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 სამტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის სამტატო ერთეული, ანუ სულ 13 სამტატო ერთეულია.

2022 წელს I-II კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „C“-35 შემთხვევა

სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის -125 შემთხვევა

ბრუცელოზი -2 შემთხვევა

ლეპტოსპიროზი -10 შემთხვევა

სავარაუდო საკლვების მიერ მოშხამვა-233 შემთხვევა

ჩუტყვავილა -4 შემთხვევა

ლაიმის დაავადება ბორელიოზი-7 შემთხვევა

ტუბერკულოზი -7 შემთხვევა.

ლეიშმანიოზი- 1 შემთხვევა.

ჰანტავირუსული ინფექცია -1 შემთხვევა

Q-ცხელება 1- შემთხვევა

წითელას 1-შემთხვევა

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2022 წლის I-II კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ) ჩატარებული შემდეგი სახის აცრები :

დიფტერია, ყვიანახველა, ტეტანუსის საწინააღმდეგო-248 აცრა

წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-231 აცრა

ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 201 აცრა

როტარიქსის საწინააღმდეგო 165 აცრა

პნევმოკოკური ვაქცინით 287 აცრა

პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 105

ჰექსაქსიმის ვაქცინა- 301 აცრა

ანტირაბიული 160 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან, ანტიგენისა და PSR ტესტებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად არის ჩაბმული covid-19 პანდემიის მართვის საკითხში. პერმანენტულად ხდება ბენეფიციართა კოვიდ ტესტირება ჩვენს მიერ, სწრაფი ტესტით (ანტიგენის) ასევე PSR ტესტირებით რაი საავადმყოფოს მიერ (ოქროს წესით).

2022 წლის I-II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის Covid-19 ტესტირება მოხდა 5946 ბენეფიციარში აქედან ანტიგენი -4577, PSR -1369 აქედან დადებითი ანტიგენი- 353, PSR -456, სულ დადებითი 809.

2022 წელს I-II კვარტალში სულ ჩატარდა 1460 კორონა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა .ფაიზერის ვაქცინაცია ჩატარდა 944, სინოფარმი 415, სინოვაკი 101 ბენეფიციარს.

2022 წელს I-II კვარტალში COVID-19-ით ინფიცირებული 5810, გამოჯამრთელებული 5786, გარდაცვლილი სულ 24.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი 2022 წელს I-II კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში თვით დინებით შემოვიდა პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვეული იქნა -75 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 40 პაციენტს, ასკარიდა-0, უარყოფითი-35.

2022 წლის I-II კვარტალის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონების სან ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე შემოწმებული იქნა სკოლების და საბავშვო ბაღების სან ჰიგიენური ნორმები. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე შიდსან ბრძოლის საერთაშორისო დღე, მსოფლიო თამბაქოს გარეშე, სისხლის დონორთა საერთაშორისო დღე, ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე, ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის I-II კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

| № | პარაგრაფის დასახელება | გეგმა | ფაქტიური |
|----|----------------------------|---------|----------|
| 1 | თანამდებობრივი სარგო | 70 042 | 70 042 |
| 2 | შრომითი ხელშეკრულებით | 4662 | 2650 |
| 3 | საკანცელარიო | 1675 | 1675 |
| 4 | ოფისისთვის საჭირო მასალები | 2400 | 2000 |
| 5 | საოფისე ინვენტარის შეძენა | 630 | 630 |
| 6 | რეცხვა ქიმიკატები | 205 | 101 |
| 7 | ჯეოსელი | 480 | 320 |
| 8 | ელ.ენერგია | 1545 | 1531,50 |
| 9 | წყალი | 600 | 559,94 |
| 10 | სამედიცინო ხარჯი | 3000 | 2092 |
| 11 | საწვავი | 6540 | 5540 |
| 12 | ავტომანქანის მოვლა შენახვა | 2000 | 1000 |
| 13 | დაცვა | 600 | 500 |
| 14 | სამედიცინო აპარატურა | 14545 | 14545 |
| 15 | რემონტი | 4880 | 4880 |
| 16 | პირგასამტეხლო | 322,80 | 322,80 |
| 17 | ინტერნეტი | 930 | 886 |
| 18 | ნორმატიული აქტები | 60 | 60 |
| | სულ: | 115 117 | 109 336 |